ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**გ-29. 29251552**
თარიღი:**04/06/2025**

,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 05 მარტის Nგ-29. 29250643 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.დ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ი“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63- მუხლის და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 02 ივნისის № 28-282515381 წერილის შესაბამისად თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 05 მარტის Nგ-29. 29250643 განკარგულების პირველი მუხლით დამტკიცებულ დანართში და დანართი №1 ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

მუხლი 2. შევიდეს ცვლილება ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 05 მარტის Nგ-29. 29250643 განკარგულების მეორე მუხლით დამტკიცებულ დანართში და დანართი №2 ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

მუხლი 3. განკარგულება შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა N7) დაინტერესებული მხარისათვის მისი ჩაბარებიდან 1 თვის ვადაში.

გიორგი ბარათაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2400 ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. 7 ტელ. 049122-12-76; 7, CHANTURIDZE STR. TERJOLA,
TEL: 049122-12-76 EMAIL: TERJOLASAKREBULO@GMAIL.COM